

## სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი სახელმწიფო საზოგადოებრივი

### კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი საზოგადოებრივი კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო ბაზრის პერსპექტიულ მოთხოვნაზე გათვლილი ორგანიზაციაა, რომელიც ხანგრძლივადიან პერიოდზეა გათვლილი და შრომის ბაზარზე პროფესიონალურ კადრების უწყვეტ მოთხოვნაზეა ორიენტირებული. იგი მიმოიხილავს საზოგადოებრივი კოლეჯის გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის ძირითად პრინციპებს და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2014-2019 წლისათვის.

საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს, გაუზიაროს საკუთარი სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

#### **2014-2019 წლებში სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად კოლეჯი ისახავს შემდეგ მიზნებს:**

##### **I. სასწავლო პროცესი**

1. პროფესიული განათლების ახალი სტანდარტების ათვისება, კვალიფიციური კადრების მომზადება;
2. საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა როგორც ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების, ასევე, საზოგადოდ, სწავლების მეთოდებისა და მოდელის პერმანენტული გადახედვის გზით.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების მუდმივი სრულყოფა.
4. სასწავლო-საინფორმაციო ბაზის განვითარება. სწავლების ყველა საფეხურზე თანამედროვე ტექნიკის ფართოდ ჩართვა;
5. ხელი შეუწყოს სასწავლებლის ცხოვრებაში სტუდენტების უშუალო ჩართვას და მათ აქტიურ მონაწილეობას.
6. მასწავლებლების პროფესიული ზრდა და დახელოვნება.
7. ხელი შეუწყოს სწავლების ინოვაციური მეთოდების აპრობირებასა და სასწავლო პროცესში მათ დანერგვას.
8. შეიმუშაოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

## **II. კომპიუტერული ცენტრი**

1. სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური კომპიუტერიზაცია;
2. კომპიუტერული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
3. კომპიუტერული ბაზის განახლება.

## **III. ბიბლიოთეკა**

1. ავტორიტეტული და რეიტინგული სახელმძღვანელოების და პერიოდული გამოცემის ფონდის შექმნა და სისტემატური განახლება;
2. ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობა;
3. მსგავსი პროფესიული პროგრამების სხვა კოლეჯების ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება (საქართველოში და საზღვარგარეთ). ამ საქმეში კოლეჯი გამოიყენებს ევროპული ქვეყნების ბიბლიოთეკების საიტებს;

## **IV. საგამომცემლო საქმე**

იქიდან გამომდინარე, რომ კოლეჯში პროფესიული პროგრამების დასაუფლებლად განკუთვნილი სახელმძღვანელოები დეფიციტურია, ამიტომ კოლეჯში ადგილზე მოეწყობა მათი შემუშავება, კომისიაზე განხილვა-შეფასება და გამოცემა.

## **V. ინფრასტრუქტურა**

1. კოლეჯის შენობის და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ძირითად საშუალებათა (აუდიტორიები, სასწავლო ტექნიკა და ა.შ.) მუდმივი რემონტი და განახლება;
2. შენობის სასწავლო ფართის საკუთრებაში შექმნა.

## **VI. გარე კავშირები**

1. პროფესიული პროგრამების შესაბამისი საწარმოო პრაქტიკის ობიექტების გამოძებნა და მათთან მოლაპარაკებების გამართვა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ. შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება;
2. წარჩინებულ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე ზრუნვა.

## **VII. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა**

1. მასწავლებელთა კონკურსით შერჩევა. კონკურსის პირობებში საჩვენებელი ლექციის ჩართვა;
2. სწავლების ყოველკვირეული მონიტორინგი და შედეგების გამჭირვალობა;

3. მასწავლებელთა რეიტინგის განსაზღვრის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება;
4. სასწავლო პროცესის ხარისხის განმსაზღვრელი თანამედროვე კრიტერიუმების დამუშავება და მათი დანერგვა;
5. პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე უახლესი პროცესების შესწავლა და მათი კოლეჯში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;
6. მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან;
7. პედაგოგიური კადრების ატესტაციისათვის ორგანიზების გაწევა;
8. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის ორგანიზება;

### **საზოგადოებრივი კოლეჯი აგრეთვე, გეგმავს განხორციელოს:**

- ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა – სხვადასხვა დარგის ცოდნის, შესაბამისი უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და სრულდება ასოცირებული ხარისხის მინიჭებით;
- მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა – პროგრამა, რომლის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სრული ზოგადი განათლების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავება და პირის მომზადება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად;
- ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია არაქართულენოვანი პირების მიერ ქართული ენის ცოდნისა და შესაბამისი უნარების შეძენა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად;
- რეგულირებადი პროფესიების შესაბამისი პროგრამების განხორციელებას: ანუ, მაღალი რისკის შემცველ პროფესიებს, რომლებიც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობას, პიროვნების განვითარებასა და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს;

ყოველივე აღნიშნულის განხორციელების შემდეგ, საზოგადოებრივი კოლეჯი აპირებს აკრედიტაციის გავლას, რაც გულისხმობს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურას, რომლის მიზანია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელსაც უკავშირდება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;

მოცემული ექვსწლიანი გეგმა არ არის სტატისტიკური დოკუმენტი, იგი დირექციის მიერ ყოველწლიურად გადაისინჯება და დაზუსტდება სრულყოფის მიმართულებით.

დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ვადები

|                          |  |
|--------------------------|--|
| 2014                     | პროფესიული პროგრამების დანერგვა  |
| 2014-2016                | პროფესიული პროგრამების დახვეწა   |
| 2014 დეკემბერი           | სასწავლო სილაბუსების სრულყოფა  |
| 2014 ივლისი- აგვისტო     | კოლეჯის მასწავლებლებით დაკომპლექტება   |
| 2014-2019                | უცხოულ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება. სტუდენტთა, ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლა; |
| 2014 სექტემბერი          | მარეგულირებელი დოკუმენტაციის დახვეწა   |
| 2014 ივნისი - სექტემბერი | ავტორიზაციისათვის მომზადება  |
| 2014 ივნისი - სექტემბერი | კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება   |
| 2014-2019                | სასწავლებლის ვებ-გვერდის შექმნა და მუდმივი სრულყოფა-განახლება  |
| 2014-2019                | სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის სისტემის სრულყოფა                           |
| 2014-2019                | მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და საბიზლიოთეკო ფონდის განახლება   |
| 2014-2015                | სასწავლო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნა  |
| 2014-2019                | სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და რეკომენდაციების მიცემა  |
| 2015 აპრილი              | შიდა შეფასების მექანიზმების სრულყოფა   |
| 2015-2019                | ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება   |
| 2014-2019                | საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემების სრულყოფა  |
| 2014-2019                | შრომის ბაზრის კვლევა ორ წელიწადში ერთხელ   |